

**პროფესიული დეფორმაციისა და რეფლექსიის კავშირი საჯარო  
სკოლის მასწავლებლებში**

**მაია გამეზარდაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და  
ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქოლოგია (განათლების ფსიქოლოგია)

ხელმძღვანელი: მარინა ჯაფარიძე, პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2018**

*„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

მაია გამეზარდაშვილი.

21.06.2018

## აბსტრაქტი

განათლების თანამედროვე სისტემა მუდმივად განიცდის ცვლილებებს. ამ ცვლილებების პარალელურად იზრდება მოთხოვნები მასწავლებელთა მიმართ. ბუნებრივია, მუდმივი ცვლილებები და გაზრდილი მოთხოვნები გარკვეულ სირთულეებს იწვევს. ამასთან ერთად, მნიშვნელოვან გამოწვევას განვითარების პროცესში მყოფი ადამიანების, ბავშვების სწავლებისა და აღზრდის მოვალეობა წარმოადგენს. ყოველივე ეს მასწავლებლებისგან მაღალ აკადემიურ, ორგანიზაციულ, კომუნიკაციურ და სხვა პროფესიულ კომპეტენციებს მოითხოვს, რაც შესაბამისი პიროვნული თვისებებითაც უნდა იყოს გამყარებული: ღიაობა და მიმღებლობა, მაღალი ადაპტური თვისებები და ა.შ. პედაგოგი მუდმივად უნდა აცნობიერებდეს არსებულ საფრთხეებს და აანალიზებდეს გზებს, რომელიც მას გამოწვევებთან ნაყოფიერად გამკლავებაში დაეხმარება. საქმიანობის ამ რთულ გზაზე მასწავლებლები ზოგჯერ პროფესიული გადაწვის მსხვერპლნი ხდებიან, თავს იჩენს ე.წ. „პროფესიული დეფორმაცია“, რაც გულისხმობს მე-ს დესტრუქციულ ცვლილებებს, რომელიც პროფესიული გარემოსა და პირობების ზეგავლენით არის გამოწვეული. აღნიშნული ცვლილებები კი მასწავლებლების პროფესიულ საქმიანობასა და ზოგადად, მათ ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე, აღქმასა და ქცევაზე უარყოფითად ზემოქმედებს და გავლენას ახდენს მოსწავლეზე და სასწავლო პროცესზე. პროფესიული დეფორმაციის პრევენციასა და კორექციაში მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლია რეფლექსიის უნარის სათანადო დონეზე ფლობას. ეს არის ერთგვარი შინაგანი დიალოგი, რომელიც, ერთის მხრივ, საკუთარი მე-ს განცდების, ფიქრებისა და ქმედებების გააზრებასა და ანალიზს, მეორეს მხრივ კი, სხვისი შინაგანი სამყაროს ხედვის შესაძლებლობას გულისხმობს. ჩვენი კვლევის მიზანს სწორედ აღნიშნული ორი კონსტრუქტის, პროფესიული დეფორმაციისა და რეფლექსიურობის ურთიერთმიმართების გამოვლენა წარმოადგენს. კვლევა ჩატარდა საჯარო სკოლის

50 მასწავლებელთან. კვლევის შედეგად, პროფესიულ დეფორმაციასა და სისტემურ რეფლექსიას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა (-028). თუმცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კორელაცია აღმოჩნდა პროფესიულ დეფორმაციასა და რეფლექსიის ორ არაადაპტურ ქვესკალას შორის (კვაზირეფლექსია - (.408\*\*), ინტროსპექცია - (.395\*\*). ნაშრომში, აგრეთვე, მოცემულია მცდელობა თვისებრივად აიხსნას და გაანალიზდეს მიღებული შედეგები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მასწავლებელთა პროფესიული დეფორმაცია, სისტემური რეფლექსია, კვაზირეფლექსია, ინტროსპექცია.

## Abstract

Modern system of education is under constant changes. In parallel to these changes demands towards teachers are increasing. Constant changes and increased demands naturally cause some difficulties. In addition with this, the notable challenge for teachers is responsibility to teach and educate human beings, children who are in development process. All of this requires from teachers to have high standards of academic, organizational, communicational and other professional competencies, which needs to be solidified by personal qualities as well: open-mindedness and acceptance, high adaptive characteristics and etc. Educator should permanently assess the existing threats and explore the ways effectively tackle the challenges. Throughout this difficult journey teachers might become the victims of professional burnout, so called “professional deformation” becomes apparent, what implies destructive changes in personality which is resulted by the influence of professional environment and conditions. These changes negatively impact professional activities of teachers and in general their interpersonal relations, perception and conduct and influence school children and learning process. Having an adequate reflection skill can play an important role in prevention and correction of professional deformation. This is somewhat an internal dialogue, which implicates at one hand the analysis and reflection of personal emotions, thoughts and behavior and on the other hand the ability to see inner world of others.

The goal of our research is to find out correlation between those two constructs professional deformation and reflection. Research was conducted among 50 public school teachers. As a result of findings statistically important correlation between professional deformation and reflection has not been demonstrated ( $-.028$ ). Though statistically important

positive correlation has been validated between professional deformation and two non-adaptive subscale of reflection (Quasi-reflection - (.408\*\*), Introspection - (.395\*\*).

In addition, research attempts to qualitatively analyze and explain the received outcomes.

Key Words: Professional Deformation of Teachers, Systemic Reflection, Quasi-reflection, Introspection.